

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო



2014 წლის ანგარიში

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2014 წლის ანგარიში



ბათუმი 2014

საქართველო, ბათუმი 6000, ე. ნინოშვილის ქ. No23

ტელეფონი: +995 (422) 273912

ფაქსი: +995 (422) 273929

ელ-ფოსტა: info@mta.gov.ge

ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე: www.mta.gov.ge

სარჩევი

საქმიანობის სფერო

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

საზღვაო უსაფრთხოება

საერთაშორისო ურთიერთობები

საკანონმდებლო საქმიანობა

საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი

საქმიანობის სფერო

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (შედგომში-სააგენტო) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ). სააგენტო ქვეყნის საზღვაო სფეროს ერთადერთი ტექნიკურ მარეგულირებელი ორგანოა და მისი მიზანია საზღვაო უსაფრთხოების, საზღვაო ტრანსპორტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგებისა და სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის უზრუნველყოფა.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- საზღვაო ტრანსპორტის სფეროს ტექნიკური ზედამხედველობა
- გემების რეგისტრაცია და დროშის სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულება
- მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება
- ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლი
- საძიებო-სამაშველო ოპერაციების კოორდინაცია
- სამართალშემოქმედება

2014 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ორიენტირებული იყო თავისი საქმიანობის განვითარებასა და დახვეწაზე. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სააგენტო შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მუშაობდა:

1. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების გასაუმჯობესებლად;
2. საქართველოს საზღვაო დროშის პოზიციის გაუმჯობესება Paris MoU-ს Flag Performance List-ში.
3. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) წევრი სახელმწიფოს აუდიტის (IMSAS) წარმატებით გასავლელად. წევრი სახელმწიფოების მიერ როგორც დროშის, ნავსადგურის და სანაპირო სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების შესამოწმებლად 2015 წლის 3-9 თებერვალს გაიმართა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) წევრი ქვეყნების IMSAS (The IMO Member State Audit Scheme) აუდიტი, რომელიც მიმართულია იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო მის

მიერვე რატიფიცირებული კონვენციების მოთხოვნებს. IMO-ს აუდიტორები კმაყოფილი დარჩნენ საქართველოს საზღვაო სფეროში მიმდინარე რეფორმებით, მიღწეული შედეგებით და თითოეული სტრუქტურის მუშაობით. საქართველომ აუდიტი წარმატებით გაიარა.

4. ISO 9001:2008 საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ერთ-ერთი მიზანია. ამ მიზნით 2014 წლის 1-2 ივლისს სააგენტოს ეწვია DERKA GmbH-ის აუდიტორები. სააგენტომ აუდიტი წარმატებით გაიარა - 0 შეუსაბამობა.

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლს ახორციელებს სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი რომლის მთავარი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემის ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- გემის რეგისტრაციის მოწმობის, ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების და რადიოსადგურის მოწმობების გაცემა;
- საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემებისათვის მინიჭებული სახმობი და ამოსაცნობი ნიშნის მონიტორინგი;

➤ ქართული დროშის იმიჯის ამაღლება საერთაშორისო ასპარეზზე

საქართველო 1998 წლიდან, კერძოდ, მას შემდეგ, რაც საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი გამოცხადდა ღია რეესტრად, სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშა პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის შავ სიაში ირიცხებოდა. საქართველოს მთავრობის, ეკონომიკისა და მგრადი განვითარების სამინისტროსა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გატარებული წარმატებული რეფორმების შედეგად 2014 წლის 1 ივლისიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშამ პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის შავი სიიდან ოფიციალურად გადაინაცვლა ნაცრისფერ სიაში.

Valid 1st July 2014

Rank	Flag	Inspections 2011-2013	Detentions 2011-2013	Black to Grey Limit	Grey to White Limit	Excess Factor
Grey List 2011-2013						
47	India	106	3	12	3	0,04
48	Tunisia	48	1	7	0	0,15
49	Portugal	366	20	34	17	0,17
50	Vanuatu	236	12	23	10	0,17
51	Malaysia	61	2	8	0	0,20
52	Bulgaria	58	2	8	0	0,22
53	Curacao	262	16	26	11	0,34
54	Syrian Arab Republic	42	2	6	0	0,35
55	Egypt	69	4	9	1	0,40
56	Morocco	65	4	8	1	0,43
57	Ukraine	237	17	24	10	0,53
58	Algeria	79	6	10	1	0,56
59	Georgia	160	13	17	5	0,65
60	Lebanon	81	7	10	1	0,66
61	Saint Kitts and Nevis	307	24	29	14	0,66
62	Libya	44	5	6	0	0,79
63	Tuvalu	42	5	6	0	0,82
64	Albania	117	13	13	3	0,98
65	Belize	570	50	50	29	0,98


წყარო:<https://www.parismou.org/sites/default/files/WGB%202011-2013.pdf>

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება: გამკაცრდა ტექნიკური ზედამხედველობა საქართველოს დროშის ქვეშ რეგისტრირებულ გემებზე; საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ სტანდარტებთან; გაუმჯობესდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის მომსახურების პირობები; შეიქმნა აგენტების საერთაშორისო ქსელი, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს დროშის ცნობადობის ამაღლებას და გემების მოზიდვას და ა.შ. შედეგად საქართველო 1998 წლის შემდეგ პირველად აღმოჩნდა ნაცრისფერ სიაში. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად ამაღლებს საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშის რეპუტაციას მთელ მსოფლიოში, ასევე ამაღლებს ჩვენი ქვეყნის ცნობადობას, სანდობას და მიმზიდველობას პირველ რიგში, გემთფლობელების თვალში, რომ მათ თავიანთი გემები დაარეგისტრირონ საქართველოს დროშის ქვეშ, რაც დამატებითი სარგებლის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო საზღვაო გამოფენაში POSIDONIA 2014. აღნიშნული გამოფენა წარმოადგენს საზღვაო ინდუსტრიაში ყველაზე მსხვილ და პრიორიტეტულ გამოფენა-კონფერენციას, რომელიც იმართება 2 წელიწადში ერთხელ. მისი მიზანი იყო ქართული დროშის ცნობადობის ამაღლება და საერთაშორისო საზღვაო ასპარეზზე საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის წარმოდგენა.


➤ მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

დეპარტამენტი, 2014 წლის განმავლობაში ახორცილებდა, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაციას საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში. საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ სტატისტიკა მოცემულია დიაგრამებზე.

დიაგრამა 1 – 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები




დიაგრამა 2 – 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები 2013-2014 წწ რაოდენობათა შედარება.




როგორც დიაგრამებიდან ჩანს, შიდა ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რიცხვი 2013 წლის მონაცემებთან შედარებით 2014 წლის მონაცემებით გაზრდილია. თუ 2013 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული იყო 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის 411 მცურავი საშუალება, 2014 წლის მონაცემით აღნიშნული ტიპის მცურავი საშუალებების რაოდენობამ 611 მიაღწია.

ასევე, განხორციელდა შემდეგი ტიპის 100 რეგ. ტონის და მეტი ტევადობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული, შიდა ნაოსნობაში ჩართული და ტაიმ-ჩარტერით დაკავებული გემები. სტატისტიკა წარმოდგენილია დიაგრამა 3-ის მეშვეობით.

დიაგრამა 3 – 100 რეგ. ტონაზე მეტი ტევადობის მცურავი საშუალებები



დიაგრამა 4 – 100 რეგ. ტონაზე მეტი ტევადობის მცურავი საშუალებები 2013-2014 წწ რაოდენობათა შედარება.



თითოეული მცურავი საშუალების საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირების შედეგად გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. 2014 წლის განმავლობაში მცურავი საშუალებების რეგისტრაციის შედეგად გაცემული დოკუმენტების სტატისტიკა ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია მოცემული.

ცხრილი 1 - გაცემული დოკუმენტები

გემის ტიპი	პირველადი/დროებითი რეგისტრაცია	ყოველწლიური განახლება	ამოღებულია რეესტრიდან	დროებითი მოხსნა	მუდმივი რეგისტრაცია	დროებითი რეგისტრაციის გაგრძელება
100 რეგ.ტონაზე მეტი ტევადობის გემი	56	95	-	2	7	1
100 რეგ.ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი	124	278	-	-	16	-
სულ	180	373	-	2	13	1

ცხრილი 2 - გაცემული დოკუმენტების სახეობა და რაოდენობა

გემის ტიპი		
სერტიფიკატების დასახელება	<i>100 რეგ. ტონაზე მეტი ტევადობის გემი</i>	<i>100 რეგ. ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი</i>

გემის სარეგისტრაციო მოწმობის ამონაწერი	11	-
საერთაშორისო უსაფრთხოების სერტიფიკატი	3	-
გემის უწყვეტი ისტორიის მოწმობა	3	-
გემის სარეგისტრაციო მოწმობა	42	499
ცნობა იპოთეკაზე	8	-
გემზე გამონაკლისის დაშვება	-	-
გემის ინსპექტირება	17	16
სახომალდო რადიოსადგურის მოწმობა	72	70
ეკიპაჟის უსაფრთხო შემადგენლობის მოწმობა	35	-
დუბლიკატი	56	-
დამოწმება	2	5

- გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართებით გამოცემული ცირკულარები

გამოიცა შემდეგი ცირკულარები:

- 1 – CIRC – FSI -Withdrawal of Circulars No 12/2009 and 13/2009 issued by the Maritime Transport Department of United Transport Administration of Georgia
- 2 – CIRC – FSI – Vessels Deleted from the State Ships Registry
- 3 – CIRC – FSI – EBOLA Virus Disease
- 4 – CIRC – FSI – Circular MSC-MEPPC.7-Circ. 6
- 5 – CIRC – FSI – Closure of Seaport
- 6 – CIRC – FSI – Lifeboat Release and retrieval System
- 7 – CIRC – FSI – STCW – New Policy on Issuing Endorsement Attesting the Recognition of a Certificates for Seafarers Serving on Ships Flying the Georgian Flag
- 8 – CIRC – FSI – To the Satisfaction of Administration
- 9 – CIRC – FSI – Deletion of M/V HANA
- 10 – CIRC – FSI – LRIT Joining

მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტი. დეპარტამენტი ახორციელებს საზღვაო სასაწავლო საწვრთნელი ცენტრების

აღიარებას, საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების შემოწმებას, საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებში გამოცდებზე დასწრებასა და გამოცდების მონიტორინგს, უზრუნველყოფს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლს, გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის მეზღვაურისათვის სერტიფიკატების გაცემას და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გემის სამეთაურო და რიგითი შემადგენლობის პირის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება-ჩატარებას და სხვა.


➤ მეზღვაურთა სერტიფიცირება

სააგენტოს მიერ მეზღვაურებზე გაიცემა შემდეგი სახის დოკუმენტები:


- კომპეტენციის სერტიფიკატი
- მეზღვაურის წიგნაკი
- კვალიფიკაციის სერტიფიკატი
- კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება
- კომპეტენციის სერტიფიკატის აღიარების დადასტურება
- სხვა სერტიფიკატი

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამებზე 5 და 6.

დიაგრამა 5 – მეზღვაურებზე გაცემული სერტიფიკატები




დიაგრამა 6 – მეზღვაურებზე გაცემული სერტიფიკატები 2013-2014წწ



➤ **ყალბი დოკუმენტაციის გამოვლენის შემთხვევები**

იქედან გამომდინარე, რომ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო მუდმივად ახორციელებს სერტიფიკატების ხარისხის გაუმჯობესებას და დახვეწას, მეზღვაურთა ყალბი დოკუმენტების აღმოჩენის სტატისტიკა კლებულობს ყოველწლიურად. დიაგრამა 7-ზე ნაჩვენებია სტატისტიკა 2009-2014 წწ.

დიაგრამა 7 – გაყალბების გამოვლენის შემთხვევები 2009-2014 წწ.



➤ **საზღვაო საწვრთნელი ცენტრების აღიარება**

საზღვაო საწვრთნელი ცენტრების აღიარებას ახორციელებს მეზღვაურთა დეპარტამენტის განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო. საანგარიშო პერიოდში აღიარებულ იქნა 58 სასწავლო კურსი.


საზღვაო უსაფრთხოება

საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში გემების შესვლა/გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთის და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ტერმინალს.


➤ გემების მოძრაობა საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში

ქვეყანაში ფუნქციონირებს შემდეგი საზღვაო ნავსადგურები: ბათუმის საზღვაო ნავსადგური, ფოთის საზღვაო ნავსადგური და ყულევის შავი ზღვის ტერმინალი. დიაგრამა 8-ზე წარმოდგენილია გემების მოძრაობა ბათუმი ნავსადგურში.


დიაგრამა 7 – გემების მოძრაობა ბათუმის ნავსადგურში




დიაგრამა 8 – გემების მოძრაობა ფოთის ნავსადგურში



დიაგრამა 9 – გემების მოძრაობა ყულევის ნასადგურში




დიაგრამა 9 -ზე წარმოდგენილია თითოეულ ნავსადგურში შემოსული ტონაჟი 2014 წლის განმავლობაში.



- საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში შემოსული გემების დათვალიერება / კონტროლი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს ნავსადგურებში შემოსული გემების დათვალიერებას/კონტროლს. საანგარიშო წლის განმავლობაში შემოწმდა 369 გემი.

დიაგრამა 10 - ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის საქმიანობა 2014 წლის განმავლობაში.



საერთაშორისო ურთიერთობები

სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან (IMO) - სააგენტოს თანამშრომლები ინტენსიურად ესწრებიან სხვადასხვა კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების სხდომებს. ასევე, აქტიურ მონაწილობას იღებს ევროკავრისის მიერ ორგანიზულ პროექტებში (TAIEX, TRACECA II). ასევე თანამშრომლობს Paris MoU, Black Sea MoU და Tokyo MoU-თან. ასევე აქტიურად ესწრება შავი ზღვის კომისიის სხდომებს.

სააგენტო მუშაობს TWINNING-ის პროექტზე. ესპანეთის სამეფოდან მივიღეთ წერილი, რომელიც შეეხება ინტერესს საზღვაო სფეროს TWINNING-ის პროგრამის განახორციელებას საქართველოში.

➤ ურთიერთგაგების მემორანდუმი მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატების აღიარების შესახებ

2014 წლის განმავლობაში გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატების აღიარების შესახებ შემდეგ ქვეყნებთან:

- ანტიგუა და ბარბუდა
- მალტა
- დანია
- ლიტვა
- ლატვია
- ესპანეთი
- კვიპროსი
- რუმინეთი
- შვეიცარია
- ესტონეთი
- ბელგია
- საბერძნეთი
- სლოვენია

სააგენტო აქტიურად არის ჩართული ევროკომისიის პროექტში TRACECA 2 (საზღვაო უსაფრთხოება და უშიშროება). რომელიც დაიწყო 2013 წლის 15 იანვარს და დასრულდება 2016 წლის 15 იანვარს. პროექტის ძირითადი მიზანი არის შავი ზღვის და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების მხარდაჭერა და დახმარება, რათა მოხდეს რატიფიცირება და იმპლემენტაცია სართაშორისო საზღვაო უსაფრთხოების და უშიშროების კონვენციების. ასევე უსაფრთხო საზღვაო გადაზიდვების და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს მხარდაჭერა.

2014 წელს სააგენტომ ევროკავშირიდან მიიღო დაფინანსება MLC (საზღვაო შრომის კონვენცია) პროექტის განსახორციელებლად (250.000 აშშ დოლარი). პროექტი იძლევა საშუალებას დაიხვეწოს საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა ევროკომისიის მოთხოვნების შესაბამისად. ამ ეტაპზე, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, TRACECA-ს პროექტის ფარგლებში, მოხდება MLC პროექტის განხორციელება. 2011-2012 წლებში სააგენტომ მიიღო დაფინანსება TEAX პროგრამაში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების მოძიება. პროექტი განახლდა 2014 წელს.

2014 წლის 21-25 ივლისს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გაიარა IMSAS-ს საცდელი აუდიტი (Mock Audit), ხსენებული ემსახურებოდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების (IMSAS) აუდიტისთვის მზადებას. სწორედ ამ მიზნით სააგენტოს ევროკომისიის დაფინანსებული პროექტის TRACECA II ფარგლებში სამუშაო ვიზიტით ეწვია ორი აუდიტორი -კაჩიტ იალჩინი და ჟან შრედერი.

საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებებით საქართველო მიუერთდა გემების ბალასტური წყლისა და დანალექების მართვის შესახებ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციასა და საერთაშორისო სატელიტური ორგანიზაციის შესახებ შესწორებულ კონვენციას. კონვენციებზე მიერთების სიგელების დეპონირების ცერემონიალი გაიმართა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სათაო ოფისში ქ. ლონდონში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, 2015 წლის 12-14 იანვარს.

2014 წლის განმავლობაში, სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

2014 წლის განმავლობაში, სააგენტომ ქართველ მეზღვაურთა შრომითი უფლებების დასაცავად განახორციელა 44 ინტერვენცია (44 მეზღვაურის განაცხადი დახმარების თხოვნის თაობაზე).

საკანონმდებლო საქმიანობა

5. საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით საქართველო მიუერთდა „გემების ბალასტური წყლის და დანალექების კონტროლისა და მართვის საერთაშორისო კონვენციას (BWM).
6. საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით საქართველო მიუერთდა „მოძრავი სატელიტური კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ კონვენციას“ (IMSO).
7. 2014 წლის 26 ნოემბერს, ძალაში შევიდა ცვლილება „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული ცვლილებებით, საქართველო სრულიად მოდის შესაბამისობაში მეზღვაურთა წვრთნის, სერტიფიცირებისა და ვახტის გაწვევის შესახებ 1978 წლის საერთაშორისო კონვენციასთან (STCW

1978, ცვლილებების გათვალისწინებით). ცვლილებების მიზეზი გახდა ევროკავშირის მიერ საქართველოს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის აუდიტი, რომელიც თავის მხრივ საქართველოს აახლოვებს ევროკავშირის სტანდარტებთან, რაც საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებაა.

8. 2014 წლის 14 ნოემბერს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება რომლითაც განისაზღვრა საზღვაო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.
9. საქართველომ მოახდინა „მეზღვაურთა პირწადობის მოწმობების შესახებ“ (C-185) საერთაშორისო შრომის ორგანიზაციისა (ILO) და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ ერთობლივად შემუშავებული კონვენციის რატიფიკაცია რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევა 2015 წლის 3 აგვისტოს.

საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა ტექნიკური რეგლამენტები კერძოდ:

1. ტექნიკური რეგლამენტი „სალოცმანო სამსახურის საქმიანობის და ლოცმანის სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თობაზე;
2. ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“ ცვლილების შეტანის თობაზე;
3. „ნავთობის დაღვრაზე ეროვნული გეგმის“ დამტკიცებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარდგენილია შემდეგი საკანონმდებლო აქტების პროექტები:

1. „გემების მოძრაობის მართვის სამსახურის საქმიანობისა და გემების მოძრაობის მართვის სამსახურის ოპერატორების სერტიფიცირების წესი“. 2014 წლის 21-25 ივლისის თვეში ჩატარებული აუდიტის (Mock Audit) შედეგად აუდიტორთა მიერ სააგენტოსათვის მიცემული იქნა რეკომენდაციები, მათ შორის ერთერთი იყო, გემების მოძრაობის მართვის სამსახურები VTS (vessel traffic system), რომლებიც მოქმედებენ სამივე ნავსადგურში, შეიქმნას საკანონმდებლო რეგულაცია, რათა ლეგალურად მოხდეს გემების მოძრაობის მართვის სამსახურის ფუნქციონირება და სააგენტოს მიეცეს საშუალება სრულად გამოიყენოს ზემოთაღნიშნულ სამსახურში არსებული ტექნიკური საშუალებები და კონტროლი.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე VTS სამსახურის არსებობის აუცილებლობა განსაზღვრულია საერთაშორისო კანონმდებლობით იმ რეგიონში სადაც არსებობს ნაოსნობისათვის რთული, გემების მოძრაობის მაღალი სიხშირე, ასევე კლიმატური და მეტეო პირობები და ა.შ.

გემების მოძრაობის მართვის სამსახური განახორციელებს სააგენტოსათვის ტექნიკურ დახმარებას ნაოსნობის უსაფრთხოებისათვის, გემების ეფექტური მოძრაობისა და გარემოს დაცვის ნორმების გასაუმჯობესებლად, კონკრეტულად იმ საზღვაო რაიონისათვის, რომელიც ფორმალურად განსაზღვრულია მის მოქმედების რაიონად.

ასევე, გემების მოძრაობის მართვის სამსახური განახორციელებს გემების მონიტორინგს, კონტროლს, დახმარებას, კონსულტირებას, საჭირო ინფორმაციების მოწოდებას და სხვა გემის უსაფრთხო ნაოსნობისათვის საჭირო ქმედებების განხორციელებას, ასევე მნიშვნელოვანია VTS სამსახურის მონაწილეობა სამაშველო და ზღვაში ნავთობისა და სხვა ტვირთის დაღვრის ლოკალიზების საკითხებში სადაც ის მაკოორდინირებელ ფუნქციასაც ითავსებს.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. პროექტის მიღების მიზანია, მოხდეს სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესში იმ საფასურების განაკვეთების დამატება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ბრძანებით და რომელზე მომსახურებას გასწევს სააგენტო.
3. საქართველოს საზღვაო კოდექსის ცვლილების პროექტი, რომელიც გულისხმობს ცვლილებებს „ზღვაში ჩაძირული ქონები-ს“ ნაწილში.

საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სსსც ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნის და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას მის განკარგულებაში არსებული სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში კი გარეშე რესურსების მოზიდვით. ახორციელებს 24 საათიან მორიგეობას რადიო ეთერში GMDSS სისტემის A1 და A2 საზღვაო რაიონებში სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით. ატარებს და მონაწილეობას ლეზულობს ადგილობრივ და

საერთაშორისო ძებნა-გადარჩენის ოპერაციების და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში.

- სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი და ტრანზიტული) ----- 4136.
- საზღვაო ინციდენტები სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში ----- 26.

➤ **აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა**

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის დახურულ საზღვაო რაიონში დაფიქსირდა არასანქცირებული ნაოსნობის 13 შემთხვევა, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს.

➤ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები**

- ჩატარდა ძებნა-გადარჩენის საკომუნიკაციო წვრთნები სამგზავრო გემებთან;
- მუდმივად ტარდებოდა ყოველკვირეული ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირებისათვის მზადყოფნის წვრთნები განგაშის გამოცხადებისას ბათუმის ნავსადგურში;
- 2014 წლის 26 სექტემბერს საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის კოორდინაციით ჩატარდა პირველი ფართო მასშტაბიანი ძებნა-გადარჩენის და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნები GEO SAR&OSREX 2014. წვრთნების დანიშნულება იყო:
 - ზღვაში გადავარდნილი ადამიანების ძებნა-გადარჩენის ოპერაციის ჩატარება, ფართო მასშტაბის ოპერაციის ორგანიზება ავარიული გემებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაცია, სანაპირო ზონის დაცვა დაღვრილი ნავთობისაგან და;
 - ოპერაციის მართვის შტაბების (კომპეტენტური ეროვნული უწყება, კომპეტენტური ეროვნული საოპერაციო უწყება, ავარიულ შემთხვევაზე რეაგირების ცენტრი - საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი, ნავსადგურის კაპიტანი, საქართველოს სამინისტროები და უწყებები) შეთანხმებული მოქმედებების დამუშავება.

წვრთნებში მონაწილეობდნენ:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, აჭარავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ბათუმის მერია, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;

- საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრი - წვრთნების ხელმძღვანელი, ოპერატიული ჯგუფი - მორიგე კოორდინატორები; კავშირის უზრუნველყოფის ჯგუფი - რადიო ოპერატორები; ნავთობის დაღვრის ლიკვიდაციის ავარიული ჯგუფი (დაღვრასთან ბრძოლის აღჭურვილობაზე); ბათუმის, ფოთის, ყულევის - ნავსადგურის კაპიტნები; ჯგუფები: ნავთობის დაღვრის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგის; ლოჯისტიკისა და მოქმედებების დაგეგმვის; საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის; სასწავლო უნივერსიტეტი სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; შპს საზღვაო სასწავლო ცენტრი "ANRI" (სასწავლო გემი "KAPITAN O. CHAXVADZE");
- საქართველოს სამინისტროები და უწყებები - გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახური (კატარღა "BUNEBA 5"), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტროს - სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი (ორი სწრაფმავალი კატარღა, შვეულმფრენი), საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის აჭარის სამაშველო და რეაგირების სამსახური (დაღვრასთან ბრძოლის აღჭურვილობა ნაპირზე, მყვინთავი), აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო (საპატრულო ეკიპაჟები), თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საზღვაო თავდაცვის დეპარტამენტი (შვეულმფრენი), საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური - გემი "GIDROGRAF 81", აჭარის ა.რ. გარემოსა და ბუნებრივი დაცვის რესურსების სამმართველო, აჭარის ა.რ. საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო (სწრაფმავალი კატარღები, მყვინთავები), ბათუმის მერია, შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური (ბუქსირი - "KAPITAN T. FAGAVA", მცურავი ამწე "CHERNOMORETS 9" შეგროვებული დაღვრილი ნავთობის გადასტანი გემი "AISI"), სუფსის საზღვაო ტერმინალი (კონტრაქტორი კომპანია - NRC, დაღვრასთან ბრძოლის აღჭურვილობა ნაპირზე), კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“, (სახანძრო ბუქსირი "PATRIOT"), შავი ზღვის ყულევის ნავთობ ტერმინალი, შპს ბათუმის ნავთობ ტერმინალი (კონტრაქტორი კომპანია - NRC, დაღვრასთან ბრძოლის აღჭურვილობა ნაპირზე); სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, შპს საქერონავიგაცია“, შპს „ბათუმის აეროპორტი“.
- ავარიული სუბკონტრაქტორები (სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სახანძრო დაცვა, საპატრულო პოლიცია, სამოქალაქო სუბკონტრაქტორი);
 - მომზადდა „ზღვაში ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ეროვნული გეგმა“ (პროექტი),

- სსსც ჩაატარა შავი ზღვის ქვეყნების სართაშორისო საკომუნიკაციო წვრთნები BLACK SEA BRAVO GEORGIA და მონაწილეობა მიიღო: BLACK SEA BRAVO BULGARIA და BLACK SEA BRAVO ROMANIA - წვრთნებში;
- სსსც მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის მუდმივმოქმედი კომისიის სამდივნოში ქ. სტამბულში შავი ზღვის ქვეყნების სართაშორისო სამაგიდო წვრთნები BLACK SEA ALFA –BULGARIA;